საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო

2019 წელი
www.mof.ge

სარჩევი

რას მოიცავს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში? 3

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 5

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 6

2018 წელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა .7

სამინისტროების შესრულების მაჩვენებლები 8



ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი მომზადებულია
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საბიუჯეტო დეპარტამენტის მიერ

რას მოიცავს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში?

საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. **საბიუჯეტო პროცესი** არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც **მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.** სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმები, რომლებსაც მხარჯავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინსიტროს წარუდგენენ მათი ბიუჯეტის 3, 6 და 9 თვის შესრულების საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15 დღის, ხოლო წლიური შესრულების ანგარიშს – წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:



- **თავი I** - საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები;
- **თავი II** - 2018 წლის მაკროეკონომიკური მიმოხილვა;
- **თავი III** - სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები;
- **თავი IV** - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება;
- **თავი V** - 2018 წლის 12 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;

- **თავი VI** - 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- **თავი VII** - საქართველოს 2018 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები და სსიპ/ა(ა)იპ-ის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები/გადასახდელები;
- ზოგადი ინფორმაცია 2018 წელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის და ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31ოქტომბრის №2051 განკარგულებით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;
- ინფორმაცია 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ;
- ინფორმაცია 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ;
- ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ;
- ინფორმაცია საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან წინა პერიოდის დავალიანების დაფარვასთან/ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში;
- საინვესტიციო პროექტების შესრულება - პირდაპირი ჩარიცხვები;
- 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საივესტიციო პროექტები;
- მიზნობრივი გრანტები;
- სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი.

აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე - www.mof.ge[1]

[1] **https://www.mof.ge/5235**

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2018 წლის განმავლობაში „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შეტანილი იქნა ერთხელ. სახელმწიფო **ბიუჯეტის ასიგნებები** თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 31 600.0 ათასი ლარით და **განისაზღვრა 12 491 000.0 ათასი ლარით.** საანგარიშო პერიოდის **საკასო შესრულებამ შეადგინა 12 590 181.6 ათასი ლარი,** რაც გეგმიური მაჩვენებლის **100.8%-ია.**



„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო **ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 9 915 543.2 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9 526 424.9 ათასი ლარი,** რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის **96.1%-ია.** გაწეულმა **საკასო ხარჯმა შეადგინა 9 543 712.7 ათასი ლარი,** რაც გეგმიური მაჩვენებლის **100.2%-ია.**

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები **გეგმა**	9 526 424,9 ათასი ₾
2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები **ფაქტი**	9 543 712,7 ათასი ₾
შესრულება	**100,2%**

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10 463 098.0 ათასი ლარით,** ხოლო საანგარიშო პერიოდში **მობილიზებულ იქნა 10 595 649.4 ათასი ლარი,** ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის **101.3%.**

	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**10,463,098.0**	**10,595,649.4**	**132,551.4**	**101.3**
გადასახადები	9,690,000.0	9,695,962.2	5,962.2	100.1
გრანტები	338,098.0	404,014.7	65,916.7	119.5
სხვა შემოსავლები	435,000.0	495,672.5	60,672.5	113.9

გადასახადების საპროგნოზო **მაჩვენებელი განისაზღვრა 9 690 000.0 ათასი ლარით,** საანგარიშო პერიოდში **მობილიზებულ იქნა 9 695 962.2 ათასი ლარი,** ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის **100.1%.**

	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**9,690,000.0**	**9,695,962.2**	**5,962.2**	**100.1**
საშემოსავლო გადასახადი	2,840,000.0	2,877,895.1	37,895.1	101.3
მოგების გადასახადი	740,000.0	736,624.4	-3,375.6	99.5
დღგ	4,430,000.0	4,426,909.8	-3,090.2	99.9
აქციზი	1,440,000.0	1,465,726.6	25,726.6	101.8
იმპორტის გადასახადი	70,000.0	73,416.9	3,416.9	104.9
სხვა გადასახადი	170,000.0	115,389.4	-54,610.6	67.9

2018 წელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

2018 წელს, **მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ** წინა წელთან შედარებით **4.7% შეადგინა.** 2018 წელს **მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 41 077.5 მლნ ლარით განისაზღვრა,** რაც 8.5 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ხოლო, **მშპ ერთ სულ მოსახლეზე 11 013.9 ლარს (4 345.5 აშშ დოლარი) შეადგენს.**

2018 წელს **წლიური ინფლაციის დონე 1.5 პროცენტით განისაზღვრა.** ამავე პერიოდისათვის, **საბაზო ინფლაცია 0.9 პროცენტის დონეზეა.**

2018 წელს საქონლით **საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12 473.4 მლნ. აშშ დოლარი** შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე **16.9%-ით მეტია;** აქედან **ექსპორტი 3 354.9 მლნ. აშშ დოლარს** შეადგენს (22.6%-ით მეტი), ხოლო **იმპორტი 9 118.5 მლნ. აშშ დოლარს** (14.9%-ით მეტი).

2018 წელს, **საქართველოს 8 326 ათასი ვიზიტორი ეწვია** (2017 წლის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 7 555 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს **10.2% - ით აღემატება.**

2018 წლის **ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კლასიფიკაციის თანახმად (GFSM 2001) **მშპ-თან მიმართებაში 0.79% შეადგინა,** ხოლო „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულმა **სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა 0.74% შეადგინა.** (ორგანული კანონის თანახმად განსაზღვრული ლიმიტი მშპ-ის 3%[2]).

[2] „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში 2018 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების თანახმად დაზუსტდა ფისკალურ წესებთან დაკავშირებული მთელი რიგი დებულებები. სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი განმარტებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და მოიცავს როგორც ნაერთი ბიუჯეტის, ასევე სსიპები/ააიპების მიერ კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების (ე.წ. საკუთარი შემოსავლების) ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებსაც.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს **სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 17 795.3 მლნ ლარი,** მათ შორის: **სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 3 250.5 მლნ ლარს,** ხოლო სახელმწიფო **საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 14 544.9 მლნ ლარს.** საქართველოს **მთავრობის ვალის ზღვრულმა მოცულობამ შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 42.2%-ით** (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

სამინისტროების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

	2018 წლის დამტკიცებული გეგმა	2018 წლის დაზუსტებული გეგმა	2018 წლის ფაქტიური შესრულება	%
ფინანსთა სამინისტრო	82 300,0	82 329,7	76 380,4	92,8%
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	232 050,0	232 839,6	227 528,3	97,7%
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1 565 000,0	1 584 100,0	1 661 664,4	104,9%
იუსტიციის სამინისტრო	63 900,0	83 721,7	87 230,2	104,2%
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	150 000,0	150 000,0	149 667,3	99,8%
საგარეო საქმეთა სამინისტრო	142 450,0	143 757,4	143 707,1	100,0%
თავდაცვის სამინისტრო	807 000,0	808 259,6	814 737,7	100,8%
შინაგან საქმეთა სამინისტრო	596 590,0	602 090,0	603 761,8	100,3%
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	262 465,0	271 424,1	263 009,2	96,9%
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1 186 215,0	1 186 771,0	1 199 799,7	101,1%
კულტურისა და სპორტის სამინისტრო	302 755,0	304 080,0	311 980,6	102,6%
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	141 200,0	141 200,0	140 602,0	99,6%
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3 528 000,0	3 530 711,1	3 555 004,0	100,7%

საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სულ საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა **1 716.7 მლნ ლარი.** მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ **641.3 მლნ ლარი.** „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის" ფარგლებში მიმართულ იქნა **756.5 მლნ ლარი.**

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2018 წლის ივნისში დაიწყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ყოველთვიური სოციალური დახმარების (180 ლარი) გაცემა.

მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებშიც კერძო საკუთრებაში ბინა გადაეცა 1 531 ოჯახს, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 709 საცხოვრებელი სახლი. სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 11 430 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 1 456 ოჯახს საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 50 - დან 300 ლარამდე).

ანაზღაურებულია მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის 50%. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა **46.4 მლნ ლარი;**

ქვეყნის მასშტაბით არსებული 2.0 ათასზე მეტი საჯარო და 220 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა **596.1 მლნ ლარი.** უზრუნველყოფილი იქნა 1.2 ათასზე მეტი საჯარო სკოლის 70.4 ათასამდე მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში.

საზოგადოებრივი/პროფესიული და პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილნი იქნენ დაფინანსებით, ამ მიზნით მიიმართა **28.9 მლნ ლარი.**

სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების დაფინანსებისა და ახალგაზრდების წახალისების მიზნით მიმართულ იქნა - **124.6 მლნ ლარი.** „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ მიზნით მიიმართა **22.7 მლნ ლარი.**

ინკლუზიური განათლების დასაფინანსებლად მიიმართა **4.8 მლნ ლარზე მეტი.** დასრულდა 6 დიდი და 17 მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები, ასევე დაფინანსდა 3 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები.

საქართველომ უმასპინძლა მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს: ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი ჭადრაკში, თბილისის გრან-პრი ძიუდოში, მსოფლიო რბენა „Wings for Life“ 2018, ჭიდაობის გრან-პრი (ბალავაძე - კარტოზია), ევროპის სპორტის კვირეული, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა.

სპორტის 49 სახეობაში დაფინანსდა 322 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 467 სასწავლო - საწვრთნელი შეკრება, მონაწილეობა იქნა მიღებული 316

საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 850 მედალი, მათ შორის: 325 ოქრო, 251 ვერცხლი და 274 ბრინჯაო. მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით ფულადი პრიზების გასაცემად საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა **19.5 მლნ ლარი.**

საირიგაციო და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების, სხვადასხვა მოცულობის გრანტების გაცემის მიზნით მიიმართა **46.0 მლნ ლარი.**

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, სულ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 60.2 მლნ ლარი.

„დანერგე მომავალის“ პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულია 2 053 ჰა-ზე გასაშენებელი 302 ბაღის პროექტი. აღნიშნულის დაფინანსების მიზნით მიიმართა **9.6 მლნ ლარი.**

2018 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ დაცულ ტერიტორიებზე შეადგინა 1 130.5 ათასი ვიზიტორი (მათ შორის 529.0 ათასი უცხოელი), რაც 18 %-ით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა **1 204.3 მლნ ლარი.**

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა **274.9 მლნ ლარი.**

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 18 ბენეფიციარისათვის 6 მლნ ლარის ჯამური ღირებულების უძრავი ქონების გადაცემა. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში სსიპ-აწარმოე საქართველოში მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები 101 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებაზე, რომლის მოცულობამ შეადგინა **134.7 მლნ ლარი.**

საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით დაიდო და ინიცირებულ იქნა 75 საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელთაგან ძალაში შევიდა 29, ხოლო 46-ის მიმართ მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები.

ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება მოლდოვას რესპუბლიკასთან და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება საუდის არაბეთის სამეფოსთან.

2018 წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე ე. წ. ბენჩმარკ ბონდების რეგულარული ემისია დაიწყო. 2018 წელს განხორციელდა **940.0 მლნ ლარის** სახაზინო ობლიგაციების (2, 5 და 10 წლის ვადის მქონე) ემისია.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების

უზრუნველყოფა, დაფინანსდა 19 პოლიტიკური პარტია. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისთვის მიიმართა **14.3 მლნ ლარამდე.**

გრძელდებოდა ქართული ქვედანაყოფების მონაწილეობის მიღება ავღანეთში ნატო-ს სამშვიდობო მისიაში „მტკიცე მხარდაჭერის მისია (RSM, QRF)“, ასევე, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვნელ მისიაში (EUTM RCA) და მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვნელ მისიაში (EUTM Mali).

სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 120 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა **180.4 ათასი ლარი.**